



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

# თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი



თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი სცენა სპექტაკლიდან „დიდრო“ (ნ. დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით).

თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი ჰეიდარ ალიევის ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ა , თეატრი თავის ისტორიას იწყებს XIX ს. 40-იან წლებიდან, როდესაც აზერბ. სცენისმოყვარეებმა დადგეს ეროვნ. დრამატურგიის პირველი ნიმუშები (მ. ფ. ახუნდოვის 6 ცნობილი კომედია). 1910 ქართ. თეატრის გამოჩენილი მოღვაწეების – ვ. აბაშიძის, ვ. გუნიას და შ. დადიანის დახმარებით აზერბ. დასს საშუალება მიეცა პერიოდულად, თვეში რამდენჯერმე, სპექტაკლები დაედგა ზუბალოვის სახ. სახლის (ახლანდ. კ. მარჯანიშვილის თეატრი) სცენაზე. 1912–47 თბილისში ფუნქციონირებდა აზერბ. სახ. სახლი ნარიმანოვის კლუბის სახელით, სადაც თეატრ. დასი წარმოადგენდა როგორც აზერბ. ასევე ქართ.,

რუს. და ევრ. პიესებს. 1922 თეატრ. დასს სახელმწ. თეატრის სტატუსი და მ. ფ. ახუნდოვის სახელი მიენიჭა. თეატრში მოღვაწეობდნენ როგორც ადგილ., ასევე აზერბაიჯანიდან მონვეული მსახიობები. ამ პერიოდის შემოქმედებითი აღმავლობა უკავშირდება თეატრის ხელმძღვანელის, გამოჩენილი აზერბ. მსახიობისა და რეჟისორის იბრაჰიმ ისპაჰანელის (ჰუსეინზადე) სახელს. თეატრის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა ოსტატებმა – ჰ. არაბლინსკიმ, ა. ველიმ, ს. რუხულამ, ჰ. სარაბსკიმ. მათ გვერდით წარმატებით მოღვაწეობდა საქართვე. სახ. არტისტი ტ. აბაშიძე. თეატრი მდებარეობდა თბილ. ისტ. უბანში, ე. წ. თეატრის მოედანზე. 1947, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ახალგაზრდა პროფ. კადრების ნაკლებობისა და სოც. პირობების გამო თეატრმა არსებობა შეწყვიტა. მისი აღდგენის საკითხი

განსაკუთრებით გააქტიურდა XX ს. 90-იან წლებში. 2004 თეატრი აღდგა და დამოუკიდებელი სახელმწ. თეატრის სტატუსით განაახლა მოღვაწეობა. 2008 მიენიჭა კ. ალიევის სახელი. ამავე წლიდან თეატრს ხელმძღვანელობდა რეჟისორი გ. კაპანაძე, რ-იც აზერბაიჯანულენოვან პროფ. დასთან ერთად წარმატებით დგამდა სხვადასხვა ქვეყნის კლასიკოს მწერალთა თვალსაჩინო ნაწარმოებებს. თეატრი დაკომპლექტებულია ნიჭიერი აზერბ. მსახიობებით, რ-თა უმრავლესობას შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწ. უნ-ტის აზერბაიჯანულენოვანი მიზნობრივი ჯგუფი აქვს დამთავრებული. თეატრის დასში მოღვაწეობენ (2014) მსახიობები: ფ. სადიკოვა, ნ. მუსაევი, ლ. კასუმოვა, ს. მამედოვა, ბ. აქიფოვი, ფ. ბაირამოვი, შ. სამოევა, ა. ალიევი, ა. თაგაევა; მსახიობი და რეჟისორი ნ. გაჯიევი და თ. ველიზადე და სხვ., სამხატვრო ხელმძღვანელი ზ. სიხარულიძე. ბოლო ათწლეულის საუკეთესო დადგმებია: ა. ჩეხოვის „ხელის თხოვნა“ (2008), ქ. აბდულას „ერთი, ორი, სამი“ (2011, ორივეს რეჟ. გ. კაპანაძე – თეატრის მმართველი და სამხატვრო ხელმძღვანელი 2006–14), ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირალები“ (2011) და მ. ფ. ახუნდოვის „ლენქორანის ხანის ვეზირი“ (2011, ორივეს რეჟ. ნ. გაჯიევი), ნ. დუმბაძის „დიდრო“ (2007), ი. ეფენდიევის „შენ ყოველთვის ჩემთან ხარ“ (2014, რეჟ. თ. ველიზადე).

წლების განმავლობაში თეატრში აღიზარდა აზერბ. მსახიობთა თაობა, რ-ებიც წარმატებით გამოდიან როგორც აზერბაიჯანის (ბაქო), ასევე სხვა ქვეყნების წამყვანი თეატრების სცენაზე.

## **8. სოფრომადე**

---